



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

თარიღი: 25 ნოემბერი, 2021

სხდომის დაწყების დრო: 18:00 საათი

ადგილმდებარეობა: საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა 11.

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:** დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, გიორგი თევზაძე, დათუნა მოდებაძე, ნათია კორკოტაძე, მარიამ კუბლაშვილი (Zooia პლატფორმის გამოყენებით მონაწილე წევრები: მამუკა ნოზაძე, ციცინო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი, ტარიელ კაკაბაძე).

**საკითხი 1.** ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ მარიამ გეგუჩაძის, ეკატერინე ქანთარას და ნინო იოსელიანის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ გეგუჩაძის, ეკატერინე ქანთარას და ნინო იოსელიანის მიერ

წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

**საკითხი 2.** ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ როლანდ კიტას, ნატო მუხიგულაშვილის, შორენა კაპანაძის, კახა ჩიდრაშვილის, ნათია მამუკაშვილის და თამაზ გიგუაშვილის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს როლანდ კიტას, ნატო მუხიგულაშვილის, შორენა კაპანაძის, კახა ჩიდრაშვილის, ნათია მამუკაშვილის და თამაზ გიგუაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

**საკითხი 3.** წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ლერი სარაიდაროვის, ნათია ბაღდავაძის, ლიანა მშვიდლობაძის და შალვა გოგიაშვილის განცხადებების წევრობის შეჩერების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ლერი სარაიდაროვის, ნათია ბაღდავაძის, ლიანა მშვიდლობაძის და შალვა გოგიაშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

**საკითხი 4.** პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ზაქრო გვიშიანის და გიორგი ბერიძის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ზაქრო გვიშიანის და გიორგი ბერიძის კანდიდატურები.

გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

**საკითხი 5.** განცხადების განხილვა შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ ირაკლი მხეიძის განცხადებას შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ირაკლი მხეიძის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს ირაკლი მხეიძის კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტის წევრად. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

**საკითხი 6.** ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრობის მსურველი კანდიდატების რეგისტრაცია.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციის წესდების 13<sup>1</sup>.1. პუნქტის თანახმად, 2021 წლის 16 ნოემბრიდან 22 ნოემბრის ჩათვლით ასოციაციის მომართა თავმჯდომარეობის მსურველთა 3-მა (სამი) კანდიდატმა, აღმასრულებელი საბჭოს წევრობის მსურველთა 22-მა (ოცდაორი) კანდიდატმა, ეთიკის კომისიის წევრობის მსურველმა 27-მა (ოცდაშვიდი), ეთიკის კომისიის არა ადვოკატი წევრობის მსურველმა 4-მა (ოთხი) და სარევიზიო კომისიის წევრობის მსურველმა 7-მა (შვიდი) კანდიდატმა. ასოციაციის წესდების 13<sup>1</sup>.1. პუნქტის და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ყველა მათგანს წარმოდგენილი ჰქონდა საჭირო საბუთები და ინფორმაცია.

წევრებმა განაცხადეს, რომ ასოციაციის წესდების 13<sup>1</sup>.3. პუნქტის თანახმად, ასოციაცია უზრუნველყოფს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სავალდებულო მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმებას. თუ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს კანონმდებლობისა და წესდების მოთხოვნებს, აღმასრულებელი საბჭო უზრუნველყოფს მსურველის რეგისტრაციას კანდიდატად და შეაქვს საარჩევნო ბიულეტენში.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ასოციაციის თავმჯდომარეობის მსურველ ერთ

კანდიდატს - ვასილ ოსეფაშვილს, აღმასრულებელი საბჭოს წევრობის მსურველ ერთ კანდიდატს - ვასილ მამულაშვილს და ეთიკის კომისიის წევრობის მსურველ ერთ კანდიდატს - ეკატერინე მაჭარაშვილს, აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის 1-ლი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად შეუწყდათ ასოციაციის წევრობა და 2019 წელს სამივე კანდიდატი ხელახლა გაწევრიანდა ასოციაციაში. ასევე, სარევიზიო კომისიის წევრობის მსურველ ერთ კანდიდატს - მამუკა ხოლუაშვილს აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 1-ლი თებერვლის გადაწყვეტილებით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის 1-ლი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად შეუწყდა ასოციაციის წევრობა და მიმდინარე წელს იგი ხელახლა გაწევრიანდა ასოციაციაში.

წევრებმა განმარტეს, რომ ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, ადვოკატი არ შეიძლება არჩეულ იქნეს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრად თუ: (ა) შეუსრულებელი აქვს სასამართლო წესით დაკისრებული ქონებრივი ვალდებულება; (ბ) ბრალდებულის სახით მიცემულია სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში; (გ) უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში დადებული ჰქონდა დისციპლინური სახდელი ან უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში შეჩერებული ჰქონდა ასოციაციის წევრობა.

მათ განაცხადეს, რომ რადგან აღნიშნულ პირებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში არ ჰქონიათ შეჩერებული ასოციაციის წევრობა და ამასთან, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის, 1-ლი პუნქტი ცალსახად განმარტავს აღმასრულებელი საბჭოს (ასოციაციის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობაში), ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრად ადვოკატის არჩევის შეზღუდვის პირობებს, რომელშიც არ არის მითითებული „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის 1-ლი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა (წევრობის შეწყვეტა საწევრო გადასახდის გადაუხდელობის გამო), საბჭო თვლის რომ ასოციაციის თავმჯდომარეობის მსურველ კანდიდატზე - ვასილ ოსეფაშვილზე, აღმასრულებელი საბჭოს წევრობის მსურველ კანდიდატზე - ვასილ მამულაშვილზე, ეთიკის კომისიის წევრობის მსურველ კანდიდატზე - ეკატერინე მაჭარაშვილზე და სარევიზიო კომისიის წევრობის მსურველ კანდიდატზე - მამუკა ხოლუაშვილზე არ ვრცელდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის, 1-ლი პუნქტით აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრად არჩევისთვის დადგენილი შეზღუდვები. შესაბამისად, ისინი აკმაყოფილებენ კანონმდებლობისა და წესდების მოთხოვნებს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ სხდომაზე წარმოდგენილი ასოციაციის

თავმჯდომარეობის მსურველი სამივე განმცხადებელი და აღმასრულებელი საბჭოს წევრობის და სარევიზიო კომისიის წევრობის მსურველი ყველა განმცხადებელი აკმაყოფილებდა კანონმდებლობის და წესდების მოთხოვნებს. ეთიკის კომისიის წევრობის ყველა მსურველთა განცხადება შეესაბამებოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის, მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, ისევე როგორც, ეთიკის კომისიის არა ადვოკატი წევრობის მსურველთა ყველა განმცხადებელის საბუთები შესაბამისობაში იყო ასოციაციის წესდების 21-ე მუხლის, 21.6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 13<sup>1.3</sup>. პუნქტის თანახმად, სხდომაზე წარმოდგენილი ასოციაციის თავმჯდომარეობის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრობის მსურველი ყველა განმცხადებელი დარეგისტრირდეს კანდიდატად და შეყვანილ იქნან საარჩევნო ბიულეტენში (დანართი 1).**

**საკითხი 7.** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის 4-11 დეკემბრის საერთო კრების რეგლამენტის დამტკიცება.

აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, მ/წლის 14 ნოემბერს აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი 2021 წლის 4-11 დეკემბრის ასოციაციის საერთო კრების რეგლამენტის პროექტი, დოკუმენტის მოცულობიდან გამომდინარე გადაგზავნილი ჰქონდათ დეტალურად გასაცნობად. თავმჯდომარემ მიმართა წევრებს მათი მხრიდან შესაძლო მოსაზრებების თუ შენიშვნების დასაფიქსირებლად.

წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი დეტალურად გაეცნენ აღნიშნული რეგლამენტის პროექტს და დამატებითი შეკითხვები ან მოსაზრებები საკითხის ირგვლივ არ გააჩნიათ. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის 04-11 დეკემბრის საარჩევნო საერთო კრების რეგლამენტის პროექტი დამტკიცდეს სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2).**

**საკითხი 8.** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება.

აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია რომ მ/წლის 30 ოქტომბერს, აღმასრულებელი საბჭოს გასვლით სხდომაზე განხილულ იქნა ასოციაციის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომლის დამტკიცება გადაიღო შემდგომი სხდომისთვის.

აღნიშნული პროექტი მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი იყო უცვლელი სახით.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი მათთვის მისაღებია და დამატებითი შეკითხვები საკითხთან დაკავშირებით არ აქვთ.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 3).**

**საკითხი 9.** თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილების ცნობად მიღების საკითხის განხილვა (მოსარჩელე - მარალ გუსეინოვა).

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მათ აღნიშნული გადაწყვეტილება განიხილეს მ/წლის 8 ოქტომბერს აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე მისი გასაჩივრების თუ არგასაჩივრების თაობაზე, კანონით დადგენილ 21 დღის ვადის გასვლამდე, თავიანთი წერილობითი მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით. ვინაიდან, აღნიშნულ ვადაში, წევრების მხრიდან არ გამოითქვა მოსაზრებები, დღევანდელ სხდომაზე საბჭომ უნდა იმსჯელოს მისი ცნობად მიღების თაობაზე.

წევრები გაეცნენ 2021 წლის 03 სექტემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ მარალ გუსეინოვას მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლითაც მ. გუსეინოვას სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის N 267 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება მარალ გუსეინოვას ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის ნაწილში და ასოციაციას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემა მარალ გუსეინოვას ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ; ასევე, ასოციაციას დაევალა მარალ გუსეინოვასთვის მის მიერ 04.02.2020 წელს და 25.06.2021 წელს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - ჯამში 250 (ორასორმოცდაათი) ლარის დაბრუნება.

წევრებმა მოსმინეს ინფორმაცია და დეტალურად გაეცნენ წარმოდგენილ გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილება ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე და მარალ გუსეინოვა გაწევრიანდეს ასოციაციაში. მარალ გუსეინოვას დაუბრუნდეს მის მიერ 04.02.2020 წელს და 25.06.2021 წელს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - ჯამში 250 (ორასორმოცდაათი) ლარი.

**საკითხი 10.** თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 აგვისტოს არტურ განიევის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობა.

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 აგვისტოს არტურ განიევის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი 2021 წლის 4, 5, 9, 10, 11 და 12 მარტს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2021 წლის 7 აპრილის #1 სხდომის ოქმი არტურ განიევის მოთხოვნის არდაკმაყოფილების შესახებ ნაწილში ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების #18 კითხვასთან დაკავშირებით ქულის მომატების თაობაზე და ასოციაციას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემა არტურ განიევისთვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების #18 კითხვაზე 1 (ერთი) ქულის მომატების შესახებ. ასევე, ასოციაციას დაეკისრა არტურ განიევისთვის მის მიერ გადახდილი ბაჟის 100 (ასი) ლარის დაბრუნება.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: (ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, არტურ განიევს ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების ტესტირების N18 კითხვაზე მოემატოს 1 (ერთი) ქულა. (ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, არტურ განიევს აუნაზღაურდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით.

**საკითხი 11.** განგრძობადი იურიდიული განათლების დებულების თანახმად, მიმდინარე და მომდევნო წლების სავალდებულო კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა - სალომე ტყემელაშვილმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ქვეყანაში შექმნილი პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, გასულ წელს აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სავალდებულო წლიური კრედიტების რაოდენობად 2 კრედიტის განსაზღვრის შესახებ, რომლის შევსების შესაძლებლობა წევრებს ჰქონდათ დისტანციურ რეჟიმში ეთიკის მოდულის საშუალებით,

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 2021 წლის ეთიკის მოდულზე, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოსთვის იქნება მზად და შესაბამისად, წევრებს არ ექნებათ საკმარისი დრო კრედიტების

დასაგროვებლად, მითუმეტეს, როცა არსებული პანდემიური ვითარების გამო დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, ასოციაცია მოკლებულია შესაძლებლობას ფიზიკურ სივრცეში შესთავაზოს წევრებს ტრენინგების მოსმენა, რადგან მათგან მნიშვნელოვან რაოდენობას არ აქვს შესაბამისი ტექნიკური საშუალება დისტანციურ რეჟიმში გაიაროს ტრენინგები. ამდენად, მიზანშეწონილია ასოციაციის წევრების სრულად გათავისუფლება მიმდინარე წლის სავალდებულო კრედიტების დაგროვებისაგან. ამ მიზნით, მან წევრებს შესთავაზა, განრობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში 2021 წლის სავალდებულო კრედიტ საათებად განისაზღვროს 0 (ნული) კრედიტი.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

(ა) განრობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში, ასოციაციის წევრებისთვის 2021 წლის სავალდებულო კრედიტ საათებად განისაზღვროს 0 (ნული) კრედიტი.

(ბ) განრობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში, 2022 წლის სავალდებულო კრედიტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ საკითხზე მსჯელობა გადაიდოს შემდგომი სხდომისთვის.

## საკითხი 12. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) ბაკურ ჩიქოვანის განცხადებას, რომელშიც რთული ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, იგი ითხოვდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის საფასურის გადახდის გარკვეული ვადით გადავადებას და ამავდროულად, თეორიული კურსის გავლის დამადასტურებელი ცნობის გაცემას, შემდგომში ასოციაციაში გაწევრიანების მიზნით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ბაკურ ჩიქოვანს გადახდილი ჰქონდა 150 ლარი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის სრული საფასურიდან (750 ლარი). შესაბამისად, მისი დავალიანება შეადგენდა 600 ლარს. ამავდროულად მას დასრულებული ჰქონდა აღნიშნული 3 თვიანი თეორიული კურსი.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-14 მუხლის 14.3. პუნქტი შესაძლებლობას აძლევს პროგრამის მონაწილეს, მომართვის საფუძველზე 3 ეტაპად - სწავლების 3 თვეზე გადანაწილებით გადაიხადოს კურსის საფასური; ხოლო 14.4 პუნქტის თანახმად, კურსის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან თავისუფლდება პირი, რომელმაც: ა) ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიიღო 97-100 ქულა, ბ) დადგენილი წესით რეგისტრირებულია



სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ბ) აღიარებულია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონედ.

საბჭო ითვალისწინებს განმცხადებლის რთულ ჯანმრთელობის მდგომარეობას და აძლევს დამატებით ვადას მის მიმართ არსებული დავალიანების - თეორიული კურსის საფასურის გადასახდელად, მის მიერ ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ განცხადებით მომართვამდე.

**აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ბაკურ ჩიქოვანის განცხადება დაკმაყოფილდეს და მას არსებული დავალიანების (600 ლარი) - პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის საფასურის გადახდა გადაუვადდეს მის მიერ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის გაწევრიანების შესახებ განაცხადით მომართვამდე.**

(ბ) განცხადებების განხილვა აკრედიტაციის მინიჭების შესახებ 2021 წლის 11 დეკემბერს ასოციაციის საერთო კრებაზე არჩევნების დაკვირვების მიზნით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2021 წლის 16 ნოემბრიდან 22 ნოემბრის ჩათვლით, საარჩევნო კრებაზე არჩევნების პროცესის დაკვირვების მიზნით, დაინტერესებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეცლოთ აკრედიტაცია ასოციაციაში მომართვის გზით. აღნიშნულ პერიოდში ასოციაციაში შემოვიდა 2 განცხადება:

1.სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), რომელმაც წარადგინა 3 წარმომადგენელი: ნინო რიჟამაძე, თათია ქინქლაძე და ლელა ხათრიძე.

2. საადვოკატო ბიურო შპს „ნემსიწვერიძე, მამულაშვილი და პარტნიორები“, რომელმაც წარადგინა ერთი წარმომადგენელი: ადვოკატი დავით გაფრინდაშვილი.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) წარმოადგენს შესაბამისი პროფილის და ხანგრძლივი გამოცდილების მქონე ადგილობრივ არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაციას, რომელმაც დადგენილ ვადაში მომართა ასოციაციას აკრედიტაციის თხოვნით საარჩევნო საერთო კრებაზე არჩევნების პროცესის დაკვირვების მიზნით. რაც შეეხება, შპს „ნემსიწვერიძე, მამულაშვილი და პარტნიორებს“, აღნიშნული წარმომადგენს სამეწარმეო იურიდიული პირის სახით ორგანიზებულ საადვოკატო ბიუროს და იგი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სადამკვირვებლო ორგანიზაცია. შესაბამისად, მას არ აქვს შესაბამისი პროფილი, ისევე, როგორც არ აქვს მითითებულ არჩევნებზე დაკვირვების მიმართულებით რაიმე გამოცდილება. გარდა ამისა, საადვოკატო ბიუროს ანდა

ადვოკატისთვის აკრედიტაციის მინიჭება საერთო კრებაზე გამართული არჩევნების დაკვირვების მიზნით, შექმნის არასწორ პრაქტიკას მომავალში არჩევნების პროცესის ობიექტური და არადანტერესებული დაკვირვების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება:

(ა) დაკმაყოფილდეს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) მიერ წარმოდგენილი განცხადება და სამივე წარმომადგენელს - ნინო რიჟამაძეს პ/ნ 05001004364, თათია ქინქლაძეს პ/ნ 33001034184 და ლელა ხათრიძეს პ/ნ 60001051459) მიენიჭოს აკრედიტაცია, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის 04-11 დეკემბრის საარჩევნო საერთო კრებაზე არჩევნების დაკვირვების მიზნით.

(ბ) არ დაკმაყოფილდეს საადვოკატო ბიურო შპს „ნემსიწვერიძე, მამულაშვილი და პარტნიორები“-ს მიერ წარმოდგენილი განცხადება ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის 04-11 დეკემბრის საარჩევნო საერთო კრებაზე არჩევნების დაკვირვების მიზნით, დავით გაფრინდაშვილისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე

N	თავმჯდომარეობის კანდიდატები
1	ასათიანი დავით
2	ოსეფაშვილი ვასილ
3	ჯაფარიძე დავით

N	აღმასრულებელი საბჭოს კანდიდატები
1	აბიაძე პავლე
2	ბაქრაძე თორნიკე
3	გაბედავა ია
4	გიგუაშვილი ამირან
5	ზაქარეიშვილი ირაკლი
6	კაკაბაძე ტარიელ
7	კორკოტაძე ნათია
8	კორძაძე ზვიად
9	კუბლაშვილი მარიამ
10	ლემკაშელი ელზა
11	ლიპარტელიანი რაისა
12	მამულაშვილი ვასილ
13	მასიკაშვილი ლიანა
14	მიგრიაული როინ
15	როსტიაშვილი ნუგზარა
16	სეხნიაშვილი ინგა
17	სვანიძე გოჩა
18	ტურაზაშვილი გიორგი
19	ქვარცხავა ქეთევან

20	ჩოფიკაშვილი არჩილ
21	ცხვედიანი ციციხო
22	წერეთელი კახაბერ

N	ეთიკის კომისიის ადვოკატი კანდიდატები
1	არევაძე მარიკა
2	ბალაშვილი შორენა
3	ბერიძე ინგა
4	გაგნიძე გრიგოლ
5	გელაშვილი კონსტანტინე
6	გეწაძე ეკატერინე
7	ზედელაშვილი გიორგი
8	თაბაგარი ეკატერინე
9	თავზარაშვილი ნათელა
10	კაჭკაჭაშვილი ოთარ
11	კორძაძია ირაკლი
12	კოტეტიშვილი ანა
13	ლორია ანა
14	მაჭავარიანი ვახტანგ
15	მაჭარაშვილი ეკატერინე
16	ნეზიერიძე ინგა
17	ნოდია ლაშა
18	ნოზაძე მამუკა
19	პაქსაძე ემზარ
20	რამიშვილი ნათია
21	სარაჯიშვილი ზაალ
22	სოლოღაშვილი ეკატერინე

23	სოხაძე სოფიო
24	ქარცივაძე ბესიკ
25	შავაძე პაატა
26	ცუცქერიძე მარინე
27	ჯანიბეგაშვილი ლაშა

N	<b>ეთიკის კომისიის არაადვოკატი კანდიდატები</b>
1	ბოხაშვილი ბესარიონ
2	კახნიაშვილი ავთანდილ
3	ჩიტაშვილი ნათია
4	ხურციძე ანა

N	<b>სარევიზიო კომისიის კანდიდატები</b>
1	ახალაური დავით
2	მესხი თეიმურაზ
3	ნიქაბაძე მარინე
4	როსტიაშვილი ზურაბ
5	სიხუაშვილი ფრიდონ
6	ჩარგეიშვილი აკაკი
7	ხოლეგაშვილი მამუკა



## სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის 04 – 11 დეკემბრის საერთო კრების რეგლამენტი

### მუხლი 1. რეგლამენტის მიზანი

წინამდებარე რეგლამენტი ადგენს ასოციაციის საერთო კრებაზე (შემდგომში - კრება) დამსწრეთა რეგისტრაციის, კრების წარმართვის, ხმის მიცემის, ხმების დათვლის, შედეგების შეჯამების, ასოციაციის წევრების მიერ კრებაზე უფლებამოსილებათა განხორციელებისა და კრების მიმდინარეობის სხვა წესებსა და პროცედურებს.

### მუხლი 2. კრების ადგილმდებარეობა და დრო

2.1. ასოციაციის წესდების 13.7<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, გარდა კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნებისა, კრება იმართება და გადაწყვეტილებას იღებს წევრთა დისტანციური დასწრებით, სპეციალური ვებპლატფორმის - კრების ელექტრონული პორტალის მეშვეობით, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [www.saertokreba.gba.ge](http://www.saertokreba.gba.ge).

2.2. კრების ელექტრონული პორტალი (შემდგომში - ელექტრონული პორტალი) ასევე განთავსდება ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე - [www.gba.ge](http://www.gba.ge).

2.3. კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები (ფარული კენჭისყრა) გაიმართება ფიზიკურ სივრცეში შემდეგ მისამართზე: თბილისი, წერეთლის გამზ. №118, „ექსპო ჯორჯია“, მე-11 პავილიონი.

2.4. კრება იმართება 2021 წლის 04 დეკემბრის 10:00 საათიდან 11 დეკემბრის 22:00 საათამდე, კრების დღის წესრიგის საკითხთა შემდეგი რიგითობისა და დროის მიხედვით:

2021 წლის 04 – 11 დეკემბრის საერთო კრების დღის წესრიგი	
დრო	საკითხი
04 დეკემბერის 10:00 საათიდან - 06 დეკემბერის 17:00 საათამდე	კრებაზე რეგისტრაცია ელექტრონული პორტალით - <a href="http://www.saertokreba.gba.ge">www.saertokreba.gba.ge</a>
06 დეკემბერი, 18:00 საათი	კვორუმის გამოცხადება და კრების გახსნა ელექტრონული პორტალით - <a href="http://www.saertokreba.gba.ge">www.saertokreba.gba.ge</a>
06 დეკემბერის 18:00 საათიდან - 07 დეკემბერის 10:00 საათამდე	შესვენება
07 დეკემბერის 10:00 საათიდან - 07 დეკემბერის 15:00 საათამდე	ხმის დამთვლელი კომისიის წევრობის კანდიდატთა თვითნომინირება ელექტრონული პორტალით - <a href="http://www.saertokreba.gba.ge">www.saertokreba.gba.ge</a>
07 დეკემბერის 15:00 საათიდან - 07 დეკემბერის 17:00 საათამდე	შესვენება
07 დეკემბერის 17:00 საათიდან - 09 დეკემბერის 17:00 საათამდე	ხმის დამთვლელი კომისიის წევრების არჩევა (ხმის მიცემა) ელექტრონული პორტალით - <a href="http://www.saertokreba.gba.ge">www.saertokreba.gba.ge</a>
09 დეკემბერის 18:00 საათი	ხმის დამთვლელი კომისიის წევრების არჩევის შედეგების გამოცხადება ელექტრონული პორტალით - <a href="http://www.saertokreba.gba.ge">www.saertokreba.gba.ge</a>
09 დეკემბერის 18:00 საათიდან - 11 დეკემბრის 10:00 საათამდე	შესვენება
11 დეკემბრის 10:00 საათიდან - 11 დეკემბრის 19:00 სთ-მდე	ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები (ფარული კენჭისყრა) <a href="#">მისამართი: თბილისი, წერეთლის №118, „ექსპო ჯორჯია“, მე-11 პავილიონი.</a>
11 დეკემბრის 19:00 საათიდან - 11 დეკემბრის 21:00 საათამდე	ხმების დათვლა
11 დეკემბრის 21:00 საათი	არჩევნების შედეგების გამოცხადება
11 დეკემბრის 21:15 საათი	კრების დახურვა

### **მუხლი 3. სამანდატო კომისია**

სამანდატო კომისია შედგება არაუმეტეს 20 წევრისგან, რომლის შემადგენლობასა და თავმჯდომარეს თავისი ბრძანებით ამტკიცებს ასოციაციის თავმჯდომარე. სამანდატო კომისიის უფლებამოსილება წყდება კრების დამთავრებისთანავე. სამანდატო კომისიის წევრი შეიძლება იყოს ასოციაციის წევრი ან/და აპარატის თანამშრომელი ან/და პირი, ასოციაციასთან მომსახურების ხელშრუკლების საფუძველზე. სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უწევს სამანდატო კომისიის საქმიანობას. კრების შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, სამანდატო კომისია ახორციელებს ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

### **მუხლი 4. ასოციაციის წევრთა ერთიანი სია**

4.1. ასოციაციის წევრთა ერთიანი სია (შემდგომში - ერთიანი სია) როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური (ზონარგაყრილი და დალუქული) სახით ინახება ასოციაციის აღმასრულებელ მდივანთან.

4.2. ელექტრონული პორტალით წევრთა რეგისტრაციის დაწყებამდე, ელექტრონული სია ელექტრონულ პორტალზე ატვირთვის უზრუნველყოფის მიზნით, გადაეცემა სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს. აღნიშნულის თაობაზე დგება ოქმი აღმასრულებელი მდივნისა და სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.

4.3. ელექტრონული ერთიანი სია შეიცავს მონაცემებს ადვოკატის გვარის, სახელის, სიითი ნომრისა მობილური ტელეფონის ნომრის მითითებით.

4.4. 2021 წლის 11 დეკემბერს 10:00 საათამდე, ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნებში (ფარულ კენჭისყრაში) მონაწილეობის მიზნით წევრთა რეგისტრაციისთვის, ერთიანი სია ზონარგაყრილი და დალუქული სახით გადაეცემა ხმის დამთვლელ კომისიას. აღნიშნულის თაობაზე დგება ოქმი აღმასრულებელი მდივნისა და ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.

4.5. ერთიანი სიის ყოველი ფურცელი ბეჭედდასმულია და შეიცავს მონაცემებს ადვოკატის შესახებ გვარის, სახელის და სიითი ნომრის მითითებით. ადვოკატის სახელის და გვარის გასწვრივ მოცემულია ხელმოწერის გრაფა, რომელიც განკუთვნილია ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნებზე გამოცხადებულ წევრთა რეგისტრაციისთვის და წევრის მიერ ბიულეტენის მიღების დადასტურების ხელმოწერისთვის.

4.6. ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნების (ფარული კენჭისყრის) დასრულების შემდეგ, ხმის დამთვლელი კომისია უზრუნველყოფს იმ წევრთა რაოდენობის დათვლას, რომლებმაც გაიარეს რეგისტრაცია და მიიღეს ბიულეტენი. შედეგად



დაიხურება შეუვსებელი გრაფები, რომელზეც დაისმება ლათინური ნიშანი - “Z”, ერთიანი სია დაილუქება და გადაეცემა აღმასრულებელ მდივანს, რის თაობაზეც დგება ოქმი აღმასრულებელი მდივნისა და ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.

## **მუხლი 5. კრებაზე რეგისტრაცია და კრების გახსნა**

5.1. კრებაზე წევრთა რეგისტრაცია, ამ რეგლამენტით განსაზღვრული წესებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, ხორციელდება ელექტრონული პორტალის - [www.saertokreba.gba.ge](http://www.saertokreba.gba.ge) - საშუალებით.

5.2. ელექტრონული პორტალით ([www.saertokreba.gba.ge](http://www.saertokreba.gba.ge)) კრებაზე რეგისტრაცია იწყება 2021 წლის 04 დეკემბრის 10:00 საათზე და გრძელდება 2021 წლის 06 დეკემბრის 17:00 საათამდე.

5.3. კრებაზე ელექტრონული პორტალით ([www.saertokreba.gba.ge](http://www.saertokreba.gba.ge)) რეგისტრაციის დაწყების თაობაზე ინფორმაცია, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, ეგზავნება ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში არსებულ ყველა წევრს, ამავე სიაში ფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

5.4. კრებაზე ელექტრონული პორტალით ([www.saertokreba.gba.ge](http://www.saertokreba.gba.ge)) რეგისტრაციის მიზნით, წევრი თავდაპირველად გადის ელექტრონულ პორტალზე ავტორიზაციას, რისთვისაც ამ რეგლამენტის 5.3. პუნქტით გათვალისწინებულ მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში ასევე მიეთითება ელექტრონული პორტალის მიერ თითოეული წევრისათვის ავტომატურად გენერირებული მომხმარებლის სახელი და უნიკალური პაროლი.

5.5. წევრის მიერ ელექტრონული პორტალით ([www.saertokreba.gba.ge](http://www.saertokreba.gba.ge)) კრებაზე რეგისტრაციისას, ელექტრონული პორტალი ავტომატურად ახდენს წევრის ვინაობის გადამოწმებას წევრთა ერთიან ელექტრონულ სიაში, რის საფუძველზეც წევრს ენიჭება კრებაზე რეგისტრირებულის სტატუსი, რაც ადასტურებს წევრის კრებაზე დასწრების უფლებამოსილებას. რეგისტრირებული დელეგატი გადამისამართდება საერთო კრების ელექტრონულ სივრცეში.

5.6. ამ რეგლამენტის 5.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დასრულების შემდეგ, წევრს, რომელმაც არ გაიარა კრებაზე ელექტრონული პორტალით რეგისტრაცია, უჩერდება ელექტრონულ პორტალზე წვდომა.

5.7. ამ რეგლამენტის 5.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დასრულების შემდეგ, სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ეცნობა მონაცემებს ელექტრონული პორტალით რეგისტრირებულ წევრთა რაოდენობის თაობაზე და ამ ინფორმაციას გადასცემს კრების თავმჯდომარეს.

5.8. კრების თავმჯდომარე, ელექტრონული პორტალის ([www.saertokreba.gba.ge](http://www.saertokreba.gba.ge)) საშუალებით, აცხადებს კრებაზე რეგისტრირებულ (დამსწრე) წევრთა რაოდენობას, ინფორმაციას კვორუმისა და კრების უფლებამოსილების თაობაზე, რის შესახებაც წევრებს ეცნობებათ ერთიან სიაში ფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომრებზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის გზით.

5.9. კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება ასოციაციის არანაკლებ 800 წევრისა. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში, 2 კვირის ვადაში მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

## **მუხლი 6. კრების თავმჯდომარე და კრების მიმდინარეობა.**

6.1. კრებას ხსნის და უძღვება ასოციაციის თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არის კრების თავმჯდომარე (შემდეგში - თავმჯდომარე). ასოციაციის წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კრებას ხსნის და უძღვება სხვა უფლებამოსილი პირი.

6.2. თავმჯდომარე:

6.2.1. აცხადებს კრებას გახსნილად და დასრულებულად ამ რეგლამენტით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;

6.2.2. უძღვება კრების მიმდინარეობას კრების დღის წესრიგით დადგენილი რიგითობის მიხედვით;

6.2.3. კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

6.2.4. საჭიროების შემთხვევაში აცხადებს დამატებით შესვენებას;

6.2.5. უზრუნველყოფს ამ რეგლამენტის დაცვას;

6.2.6. ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნების (ფარული კენჭისყრის) მსვლელობისას უზრუნველყოფს დარბაზში წესრიგის დაცვას და აფრთხილებს ანდა დარბაზს ატოვებინებს პირს, რომელიც არღვევს წესრიგს;

6.2.7. ხელს აწერს კრების ოქმს;

6.2.8. ახორციელებს კანონმდებლობით, ასოციაციის წესდებითა და ამ რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6.3. თავმჯდომარე გააფრთხილებს დარბაზში მყოფ პირს, რომელიც ჩაიდენს ისეთ ქმედებას, რაც იწვევს არჩევნების პროცესის შეფერხებას.

6.4. კრების თავმჯდომარე დარბაზს დაატოვებინებს პირს:

6.4.1. რომელმაც მიიღო გაფრთხილება და ხელს უშლის არჩევნების პროცესის მიმდინარეობას;

6.4.2. რომელიც დარბაზში გამოცხადდა იარაღით ან სხვა კანონით აკრძალული ნივთით ან ისეთი ნივთით, რომელიც ხელს უშლის არჩევნების პროცესის მიმდინარეობას;

6.4.3. რომელიც თავისი ქმედებით ხელს უშლის არჩევნების პროცესის მიმდინარეობას ან ამგვარი ქმედებისკენ მოუწოდებს სხვა წევრებს.

6.5. ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატებს აქვთ შესაძლებლობა საკუთარი ბიოგრაფია, ვიდეო მიმართვა და საარჩევნო პროგრამა ასოციაციის წევრთათვის გასაცნობად განათავსონ ელექტრონულ საარჩევნო პორტალზე.

## **მუხლი 7. ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა და უფლებამოსილებები**

7.1. ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება ადვოკატთა ასოციაციის წესდებით და შედგება 15 წევრისგან, რომლებიც უნდა იყვნენ ასოციაციის წევრი ადვოკატები.

7.2. ხმის დამთვლელი კომისიის წევრობის კანდიდატად თვითნომინირება შეუძლია კრებაზე რეგისტრირებულ (დამსწრე) ასოციაციის ყველა წევრს. ასოციაციის რომელიმე არჩევითი ორგანოს (ასოციაციის თავმჯდომარე, აღმასრულებელი საბჭო, ეთიკის კომისია და სარევიზიო კომისია) არჩევნებში მონაწილე პირი (კანდიდატი) ასევე სამანდატო კომისიის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ან წევრობის კანდიდატი.

7.3. ხმის დამთვლელი კომისიის წევრად თვითნომინირება კრებაზე ელექტრონული პორტალით რეგისტრირებულ (დამსწრე) ასოციაციის წევრთა მიერ ხორციელდება ელექტრონული პორტალის - [www.saertokreba.gba.ge](http://www.saertokreba.gba.ge) - საშუალებით.

7.4. ელექტრონული პორტალით ([www.saertokreba.gba.ge](http://www.saertokreba.gba.ge)) ხმის დამთვლელი კომისიის თვითნომინირების დაწყების თაობაზე ინფორმაცია, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, ეგზავნება კრებაზე ელექტრონული პორტალით რეგისტრირებულ (დამსწრე) ასოციაციის ყველა წევრს ერთიან სიაში ფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

7.5. ხმის დამთვლელი კომისიის წევრად არჩეულად ჩაითვლება 15 (თხუთმეტი) საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. კანდიდატების მიერ ხმების თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა რაოდენობას, არჩეულად ჩაითვლება ასოციაციაში უფრო ადრე გაწევრიანებული კანდიდატი.

7.6. ხმის დამთვლელი კომისიის წევრებისთვის ხმის მიცემა ხორციელდება ელექტრონული პორტალის - [www.saertokreba.gba.ge](http://www.saertokreba.gba.ge) - საშუალებით.

7.7. ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის დაწყების თაობაზე ინფორმაცია, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, ეგზავნება კრებაზე ელექტრონული პორტალით რეგისტრირებულ (დამსწრე) წევრებს, ერთიან სიაში ფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

7.8. ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა კენჭისყრის შედეგების დათვლასა და შეჯამებას უზრუნველყოფს ელექტრონული პორტალი. ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა არჩევნების დასრულების შემდეგ, სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ეცნობა ხმის დამთვლელი კომისიის არჩევნების შედეგებს და ამ ინფორმაციას გადასცემს კრების თავმჯდომარეს.

7.9. კრების თავმჯდომარე ელექტრონული პორტალის ([www.saertokreba.gba.ge](http://www.saertokreba.gba.ge)) საშუალებით აცხადებს კენჭისყრის შედეგებს და ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობას.

7.10. ხმის დამთვლელი კომისია თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით, ირჩევს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის მდივანს. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ამ რეგლამენტით განსაზღვრული წესით ხელმძღვანელობს ხმის დამთვლელი კომისიის მუშაობას. ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კენჭისყრის/საარჩევნო პროცესის დოკუმენტირებას, ხოლო კომისიის თავმჯდომარის არყოფნისას ასრულებს მის უფლებამოსილებებს.

7.11. სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს გადასცემს სპეციალურად ამ კრებისთვის დამზადებულ ბეჭედს, რომელზეც მითითებულია კრების თარიღი.

7.12. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე და წევრები ხელს აწერენ არჩევნების (კენჭისყრის) შედეგების შემაჯამებელ ოქმს და არჩევნების (კენჭისყრის) შედეგების შესახებ ინფორმაციას გადასცემენ კრების თავმჯდომარეს.

## **მუხლი 8. ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები - კენჭისყრის წესი და პროცედურები**

8.1. ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები (შემდგომში - არჩევნები) ტარდება ფარული კენჭისყრით, სპეციალურად ამ კრებისთვის დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენებით.

8.2. საარჩევნო ბიულეტენების დათვლა ხორციელდება ხმის ელექტრონული მთვლელი აპარატების ("PCOS" საარჩევნო ოპტიკური სკანერი) (შემდგომში - აპარატი) მეშვეობით.

8.3. არჩევნები ტარდება ერთი სახის საარჩევნო ბიულეტენით, რომელშიც მკაფიოდ, ბიულეტენის ორივე გვერდზე, დატანილია 5 (ხუთ) დამოუკიდებელ სვეტად

ერთმანეთისაგან გამოყოფილი ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ადვოკატი, ეთიკის კომისიის არაადვოკატი და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნებისთვის განკუთვნილი ნაწილები.

8.4. საარჩევნო ბიულეტენზე დატანილი 5 (ხუთი) სვეტიდან:

8.4.1. პირველ სვეტში შეიტანება: ასოციაციის თავმჯდომარის კანდიდატების გვარი და სახელი ანბანური თანმიმდევრობით „ა“-დან „ჰ“-მდე, გვარის საწყისი ასოების შესაბამისად;

8.4.2. მეორე სვეტში შეიტანება: აღმასრულებელი საბჭოს კანდიდატების გვარი და სახელი ანბანური თანმიმდევრობით „ა“-დან „ჰ“-მდე, გვარის საწყისი ასოების შესაბამისად;

8.4.3. მესამე სვეტში შეიტანება: სარევიზიო კომისიის კანდიდატების გვარი და სახელი ანბანური თანმიმდევრობით „ა“-დან „ჰ“-მდე, გვარის საწყისი ასოების შესაბამისად.

8.4.4. მეოთხე სვეტში შეიტანება: ეთიკის კომისიის ადვოკატი წევრი კანდიდატების გვარი და სახელი ანბანური თანმიმდევრობით „ა“-დან „ჰ“-მდე, გვარის საწყისი ასოების შესაბამისად;

8.4.5. მეხუთე სვეტში შეიტანება: ეთიკის კომისიის არაადვოკატი წევრი კანდიდატების გვარი და სახელი ანბანური თანმიმდევრობით „ა“-დან „ჰ“-მდე, გვარის საწყისი ასოების შესაბამისად;

8.5. საარჩევნო ბიულეტენში კანდიდატის გვარის წინ, იმავე რიგში, თავსდება ხმის მიცემის აღსანიშნი ოვალი, რომლის გაფერადებაც ნიშნავს შესაბამისი კანდიდატისთვის ხმის მიცემას.

8.6. თითოეულ საარჩევნო ბიულეტენს აქვს სპეციალური და უნიკალური დაცვის შტრიხკოდი.

8.7. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება იმ რაოდენობით რამდენი მოქმედი წევრიცაა ასოციაციის ერთიან სიაში. დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენები ილუქება, რის თაობაზეც დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სამანდატო კომისიის თავმჯდომარე.

8.8. დალუქულ საარჩევნო ბიულეტენებს არჩევნების დღეს, ხმის მიცემის დაწყებამდე, სამანდატო კომისიის თავმჯდომარე, ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატთა თანდასწრებით (მათი სურვილის შემთხვევაში), გადასცემს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს, რის შემდეგაც იხსნება ლუქი. აღნიშნულის თაობაზე დგება შესაბამისი ოქმი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობის მითითებით, რომელსაც ხელს აწერენ სამანდატო კომისიისა და ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეები.

8.9. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის მიერ კომისიის თითოეული წევრისთვის გადაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის შესახებ დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე.

8.10. არჩევნების დაწყებამდე, კანდიდატის მიერ საკუთარი კანდიდატურის მოხსნის შემთხვევაში, საარჩევნო ბიულეტენში აღნიშნული კანდიდატის გასწვრივ, მარჯვენა მხარეს, კეთდება აღნიშვნა – “მოხსნილია” და ასეთი კანდიდატის მიერ მიღებული ხმები არ იქნება გათვალისწინებული არჩევნების საბოლოო შედეგების დადგენისას.

8.11. საარჩევნო დარბაზში ეწყობა რეგისტრაციის, ხმის მიცემის და მოსაცდელი ზონები.

8.12. დარბაზის სარეგისტრაციო ზონაში განთავსებულია მაგიდები ადვოკატთა სიითი ნომრების მიხედვით, საიდანაც გაიცემა საარჩევნო ბიულეტენები. თითოეულ მაგიდასთან ზის ხმის დამთვლელი კომისიის არანაკლებ ერთი წევრი, რომელიც ადვოკატთა ერთიან სიაში ამოწმებს წევრთა ვინაობას, მოქალაქის პასპორტის ან პირადობის ან მართვის მოწმობის და საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენის საფუძველზე.<sup>1</sup> ერთიანი სიის შესაბამის გრაფაში დელეგატის ხელმოწერის საფუძველზე, ხმის დამთვლელი კომისიის წევრი დელეგატს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენსა და ჩარჩო-კონვერტს, განუმარტავს საარჩევნო ბიულეტენის შევსებისა და ჩარჩო-კონვერტის გამოყენების წესს, რის შემდეგაც დელეგატი ტოვებს სარეგისტრაციო ზონას.

8.13. ელექტრონული პორტალის საშუალებით კრებაზე რეგისტრირებულ წევრებთან ერთად, არჩევნებზე რეგისტრაციისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ დარბაზში გამოცხადებულ ერთიანი სიაში არსებულ სხვა წევრებსაც.

8.14. დარბაზის ხმის მიცემის ზონაში ეწყობა სპეციალური კაბინები (მაგიდები), სადაც დელეგატი, ფარულობის დაცვით, საარჩევნო ბიულეტენში შესაბამისი აღნიშვნის გზით, ხმას აძლევს სასურველ კანდიდატებს.

8.15. დელეგატი საარჩევნო ბიულეტენში, სპეციალური კალმის (მარკერის) გამოყენებით, აფერადებს სასურველი კანდიდატების გვარის წინ განთავსებულ ხმის მიცემის აღმნიშვნელ ოვალს, რაც ითვლება შესაბამისი კანდიდატებისათვის ხმის მიცემად, რის შემდეგაც საარჩევნო ბიულეტენს ათავსებს ჩარჩო-კონვერტში.

8.16. დელეგატი საარჩევნო ბიულეტენში ხმას აძლევს:

8.16.1. თავმჯდომარის არჩევნების ნაწილში მხოლოდ 1 (ერთ) სასურველ კანდიდატს;

---

<sup>1</sup> იმ შემთხვევაში, თუ საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელ მოწმობაზე მითითებულია პირის პირადი ნომერი, ვინაობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარმოდგენა არ არის სავალდებულო.

8.16.2. აღმასრულებელი საბჭოს არჩევნების ნაწილში არაუმეტეს 11 (თერთმეტ) სასურველ კანდიდატს;

8.16.3. ეთიკის კომისიის ადვოკატი წევრის არჩევნების ნაწილში არაუმეტეს 12 (თორმეტ) კანდიდატს;

8.16.4. ეთიკის კომისიის არაადვოკატი წევრის არჩევნების ნაწილში არაუმეტეს 3 (სამ) კანდიდატს;

8.16.5. სარევიზიო კომისიის არჩევნების ნაწილში არაუმეტეს 5 (ხუთ) კანდიდატს.

8.17. საარჩევნო ბიულეტენის შესაბამისი ნაწილი ითვლება ბათილად და არ იანგარიშება ხმების დათვლისას თუ:

8.17.1. შესაბამის ნაწილში გაფერადებულია ამ რეგლამენტის 8.15. პუნქტით დადგენილ რაოდენობაზე მეტი კანდიდატის ხმის მიცემის აღმნიშვნელი ოვალი;

8.17.2. შესაბამის ნაწილში არ არის გაფერადებული არცერთი კანდიდატის ხმის მიცემის აღმნიშვნელი ოვალი, მიუხედავად საარჩევნო ბიულეტენში ნებისმიერი სხვა სახის აღნიშვნისა/წარწერისა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8.18. საარჩევნო ბიულეტენის დაზიანების (გაფუჭების) შემთხვევაში, დელეგატი უფლებამოსილია დაზიანებული (გაფუჭებული) ბიულეტენის სანაცვლოდ მიიღოს ახალი საარჩევნო ბიულეტენი, რისთვისაც უნდა გამოცხადდეს სარეგისტრაციო ზონაში განთავსებულ მაგიდასთან და ხმის დამთვლელი კომისიის წევრს წარუდგინოს დაზიანებული (გაფუჭებული) ბიულეტენი. დაზიანებულ (გაფუჭებულ) ბიულეტენს ჩამოეჭრება ზედა მარჯვენა კუთხე და შეინახება ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

8.19. ხმის მიცემის კაბინასთან (მაგიდასთან) ერთდროულად დაიშვება მხოლოდ ერთი დელეგატი. დელეგატს ეკრძალება ხმის მიცემის დროის განზრახ გაჭიანურება, ხმაური ან საარჩევნო პროცესისათვის სხვაგვარად ხელის შეშლა.

8.20. საარჩევნო ბიულეტენის შევსების შემდეგ, დელეგატი ჩარჩო-კონვერტის საშუალებით ათავსებს ბიულეტენს საარჩევნო ყუთში, საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებული აპარატის მეშვეობით, რომელიც ახორციელებს ხმების დათვლას.

8.21. იმ შემთხვევაში თუ დელეგატი ვერ ახერხებს ბიულეტენის მოთავსებას აპარატში, მას შეიძლება დაეხმაროს დამოუკიდებელი კონტრაქტორი ორგანიზაცია - THE DELIAN PROJECT-ის უფლებამოსილი წარმომადგენელი ხმის დამთვლელი კომისიის წევრის მეთვალყურეობით.

8.22. თუ აპარატი არ იღებს საარჩევნო ბიულეტენს, იგი ჩაითვლება დაზიანებულ (გაფუჭებულ) ბიულეტენად და გამოიცილება ამ რეგლამენტის 8.18. პუნქტით დადგენილი წესით.

8.23. მას შემდეგ, რაც დელეგატი საარჩევნო ბიულეტენს მოათავსებს საარჩევნო ყუთში, იგი დებს ჩარჩო-კონვერტს საამისოდ განკუთვნილ მაგიდაზე და ტოვებს საარჩევნო დარბაზს გასასვლელი კარით.

8.24. საარჩევნო დარბაზიდან საარჩევნო ბიულეტენის გატანა აკრძალულია.

8.25. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ტექნიკური მიზეზით შეუძლებელი გახდა საარჩევნო ყუთებში ბიულეტენის აპარატის მეშვეობით მოთავსება, ხმის დამთვლელი კომისიის წევრების თანდასწრებით, ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე და THE DELIAN PROJECT-ის უფლებამოსილი წარმომადგენელი აპარატებს ხსნიან საარჩევნო ყუთებიდან, რის შემდგომაც დელეგატებს შესაძლებლობა აქვთ საარჩევნო ბიულეტენი მოათავსონ პირდაპირ საარჩევნო ყუთებში.

8.26. თავმჯდომარეობის, ასევე, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის ყველა კანდიდატს უფლება აქვს თვალი ადევნოს არჩევნების მსვლელობას დარბაზის მოსაცდელ ზონაში მოწყობილი სპეციალური მონიტორის საშუალებით.

8.27. საარჩევნო დარბაზის კარი იკეტება 19:00 საათზე. ამ დროისთვის რიგში მდგომ დელეგატებს შეუძლიათ ხმის მიცემა, რისთვისაც ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომი დელეგატების გვარებსა და სახელებს, მათ რაოდენობას აცნობებს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს, რის საფუძველზეც კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა მხოლოდ რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ.

8.28. კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ, იწყება ხმების დათვლა ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

8.29. გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენები ითვლება და ილუქება ცალკე, რის თაობაზეც დგება ოქმი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით. საარჩევნო ბიულეტენები ინახება ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ბიულეტენები შეიძლება განადგურდეს, რის თაობაზეც დგება ოქმი ასოციაციის თავმჯდომარისა და აღმასრულებელი მდივნის ხელმოწერით.

## **9. კენჭისყრის მომზადება, ხმების დათვლა, შედეგების შეჯამება და გამოცხადება**

9.1. ხმის დამთვლელი კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლასა და შედეგების შეჯამებას ახორციელებს ხმის ელექტრონული მთვლელი აპარატების ("PCOS" საარჩევნო ოპტიკური სკანერი) (შემდგომში - აპარატი) მეშვეობით.

9.2. აპარატის შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფასა და ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს დამოუკიდებელი კონტრაქტორი ორგანიზაცია - **THE DELIAN PROJECT** (CSI 300-192 სპადინას გამზირი, ტორონტო, ON, M5T 2C2, კანადა).



9.3. კენჭისყრის პროცესის მსვლელობისას აპარატებს მეთვალყურეობს ხმის დამთვლელი კომისიის სულ მცირე ერთი წევრი.

9.4. კენჭისყრის დაწყებამდე, ხმის დამთვლელი კომისია, THE DELIAN PROJECT-ის უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობით, ამოწმებს საარჩევნო ყუთებს და მას შემდეგ, რაც დადასტურდება, რომ საარჩევნო ყუთები ცარიელია, საარჩევნო ყუთებზე დამონტაჟდება აპარატი. აღნიშნულის თაობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე.

9.5. საარჩევნო ყუთებზე აპარატის დამონტაჟების შემდეგ, ხმის დამთვლელი კომისია, THE DELIAN PROJECT-ის უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობით, აპარატიდან ამობეჭდავს „ნულოვან ამონაწერს“, რაც ადასტურებს, რომ იმ დროისთვის არცერთ დელეგატს არ მიუცია ხმა აპარატის საშუალებით. ნულოვანი ამონაწერი გადაეცემა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს.

9.6. კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ხმის დამთვლელი კომისია, THE DELIAN PROJECT-ის უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობით, თითოეული აპარატიდან მიღებული ხმის დათვლის შედეგების საფუძველზე, ამობეჭდავს ხმის დათვლის შედეგების ერთიან დოკუმენტს - „შედეგების ამონაწერს“, რომელიც წარმოადგენს ხმის დათვლის შედეგების ოფიციალურ მონაცემს.

9.7. „შედეგების ამონაწერი“ უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: კენჭისყრაში მონაწილე დელეგატთა რაოდენობა (აპარატში მოთავსებული ბიულეტენების საერთო რაოდენობა), ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა, ბათილი ბიულეტენების რაოდენობა, თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

9.8. კენჭისყრის შედეგად, ასოციაციის თავმჯდომარედ არჩეულად ჩაითვლება 1 (ერთი) საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი; აღმასრულებელი საბჭოს წევრებად არჩეულად ჩაითვლებიან 11 (თერთმეტი) საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი; ეთიკის კომისიის ადვოკატ წევრებად არჩეულად ჩაითვლებიან 12 (თორმეტი) საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი; ეთიკის კომისიის არაადვოკატ წევრებად არჩეულად ჩაითვლებიან 3 (სამი) საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი; სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულად ჩაითვლებიან 5 (ხუთი) საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

9.9. ეთიკის კომისიის სათადარიგო წევრებად არჩეულად ჩაითვლებიან ეთიკის კომისიის წევრობის საუკეთესო შედეგის მქონე ის 6 (ექვსი) კანდიდატი, რომლებმაც სხვა კანდიდატებზე მეტი ხმა მიიღეს, მაგრამ ვერ მოხვდნენ ეთიკის კომისიის შემადგენლობაში.

9.10. „შედეგების ამონაწერის“ მონაცემთა დამოწმების მიზნით, ხმის დამთვლელი კომისიის წევრები იწყებენ ასოციაციის თავმჯდომარის კანდიდატების მიერ მიღებული ხმების ხელით დათვლას, რისთვისაც საარჩევნო ყუთებს ათავსებენ

თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ მაგიდაზე და საჯაროდ აცხადებენ თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას.

9.11. ხმის დამთვლელი კომისია უფლებამოსილია დათვალოს ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატთა მიერ მიღებული ხმები, თუ ხმების დათვლაში მონაწილეობს კომისიის არანაკლებ 5 (ხუთი) წევრი.

9.12. ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატთა მიერ მიღებული ხმების დათვლის პროცედურის დროს მიმდინარეობს ვიდეო ჩაწერა.

9.13. ამ რეგლამენტის 8.25. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობისას, ხმის დამთვლელი კომისია არჩევნებში მონაწილე კანდიდატების ხმების დათვლას ახორციელებს ამ მუხლის მე-10 - მე-12 პუნქტებით დადგენილი წესითა და პროცედურებით.

9.14. „შედეგების ამონაწერის“ და ამ რეგლამენტის 9.10 პუნქტით განსაზღვრული პროცედურის საფუძველზე, არჩევნების შედეგების გაფორმების მიზნით, ხმის დამთვლელი კომისია ადგენს არჩევნების (კენჭისყრის) შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

9.15. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის მიერ არჩევნების (კენჭისყრის) შედეგების შემაჯამებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში აღნიშნულ ოქმზე ხელს აწერს ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი და კომისიის არანაკლებ 5 წევრი. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის მიერ კენჭისყრის შედეგების ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნულ ოქმს ხელს აწერს ხმის დამთვლელი კომისიის არანაკლებ 5 წევრი ან/და აღმასრულებელი მდივანი ან/და საერთო კრების თავმჯდომარე.

9.16. არჩევნების (კენჭისყრის) შედეგების შემაჯამებელ ოქმში მითითებული უნდა იყოს:

- (ა) ოქმის შედგენის თარიღი და დრო;
- (ბ) რამდენი ადვოკატია ერთიან სიაში;
- (გ) რამდენმა ადვოკატმა გაიარა რეგისტრაცია;
- (დ) რამდენმა ადვოკატმა მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა;
- (ე) რამდენი საარჩევნო ბიულეტენი იყო გამოყენებული;
- (ვ) რამდენი საარჩევნო ბიულეტენი გაბათილდა;
- (ზ) რამდენი ხმა მიიღო თითოეულმა კანდიდატმა;
- (თ) ასოციაციის თავმჯდომარედ, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეული პირების გვარი, სახელი და პირადი ნომერი.

9.17. საარჩევნო ბიულეტენში დასახელებულ ყველა კანდიდატს უფლება აქვს მოითხოვოს არჩევნების (კენჭისყრის) შედეგების შემაჯამებელ ოქმის ასლი.

9.18. არჩევნების პროცესი მიმდინარეობს ღიად და გამჭვირვალედ. დაინტერესებულმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა, რომელთაც აქვთ სურვილი დააკვირდნენ კრების მსვლელობის პროცესს, 2021 წლის 16 ნოემბრის 10:00 საათიდან 22 ნოემბრის 18:00 საათამდე უნდა გაიარონ აკრედიტაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აპარატში, თითო ორგანიზაციიდან არაუმეტეს 3 წარმომადგენელი. დამკვირვებელს უფლება აქვს პროცესისთვის ხელის შეშლის გარეშე დააკვირდეს კენჭისყრის მიმდინარეობას ნებისმიერი ადგილიდან. ვიდეო-აუდიო ჩანაწერების განხორციელება დასაშვებია, ისე რომ არ დაირღვეს კენჭისყრის ფარულობა და ხელი არ შეეშალოს კრების მიმდინარეობის პროცესს.

9.19. კრების თავმჯდომარე არჩევნების (კენჭისყრის) შედეგებს აცხადებს საჯაროდ და აღნიშნული ინფორმაცია ასევე ქვეყნდება ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე - [www.gba.ge](http://www.gba.ge).

## 10. კენჭისყრის მეორე ტური

10.1. თუ უკეთესი შედეგის მქონე თავმჯდომარეობის კანდიდატებმა მიიღეს ხმების თანაბარი რაოდენობა, ამ კანდიდატებს შორის იმართება კენჭისყრის მეორე ტური არაუგვიანეს 14 დღის განმავლობაში. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატზე მეტ ხმას.

10.2. კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა აღემატება შესაბამის ორგანოში ასარჩევ წევრთა დადგენილ რაოდენობას, იმართება განმეორებითი კენჭისყრა უკეთესი შედეგის მქონე იმდენ კანდიდატებს შორის, რამდენი წევრიცაა ასარჩევი.

## 11. საერთო კრების ოქმი

11.1. ასოციაციის კრების მსვლელობის თაობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

11.2. კრების ოქმს ადგენს კრების მდივანი, რომელსაც სამანდატო კომისიის შემადგენლობიდან თავისი ბრძანებით ნიშნავს ასოციაციის თავმჯდომარე.

## 12. უსაფრთხოების წესები პანდემიის პირობებში

12.1. დარბაზის შესასვლელთან განთავსებულია დეზობარიერი, თერმოსკრინინგისთვის განსაზღვრული აპარატი და სადეზინფექციო ხსნარი.

12.2. დარბაზის ირგვლივ განთავსებულია ჰიგიენური ნარჩენების დახურული კონტეინერები.

12.3. დარბაზის შესასვლელთან ხორციელდება დარბაზში შემსვლელ პირთა თერმოსკრინინგი.

12.4. კრების დარბაზში ყოფნისას ყველა პირი ვალდებულია ატაროს პირბადე და დაიცვას დისტანცია. პირბადის ტარების თაობაზე უშედეგო გაფრთხილების შემდეგ, კრების თავმჯდომარე უფლებამოსილია გამოიყენოს ამ რეგლამენტის 6.4. მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილება.

## **12. დასკვნითი დებულებები**

12.1. წინამდებარე რეგლამენტი შედგენილია ერთ ეგზემპლარად, რომლის ტექსტი აუთენტურია.

12.2. ასოციაციის წევრებს უფლება აქვთ მოითხოვონ და მიიღონ ასოციაციის სათანადო წესით დამოწმებული რეგლამენტის ასლი.